ლიუტერის სჯულის ქართველები

საქართველოში

ისტორიული მიმოხილვა

ზ. ჭ.

გამოცემული

ვლადიმერ შატბერაშვილის მიერ

გადმობეჭდილი 1904 წლის გაზ. „სამშობლოდამ“.

თბილისი

საქართველოს მთავრობის სტამბა.

1918.

ᲚᲘᲚᲝ ᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲗᲘᲠᲑᲐᲠᲘᲡᲔᲚᲘ

ლიუტერის სჯულის ქართველები

საქართველოში

ისტორიული მიმოხილვა

ზ. ჯ.

33807

გამოცემული

ვლადიმერ შატბერაშვილის მიერ

გადმობეჭდილი 1904 წლის გაზ. „სამშობლოდან“.

თბილისი

საქართველოს მთავრობის სტამბა.

1918.

ლიუტერის სწავლა საქართველოში.

ბიზანტიის იმპერიის დამხობამ (1452 წ.) საქართველოს ერზე მეტად ცუდი გავლენა იქონია. ქართველთა აზრით, ბიზანტიის დამხობით თვით საქართველოს დიდი უბედურება მოელოდა, ვინაიდგან ქართველებს კარგათ ესმოდათ ის გარემოება, რომ ბიზანტიის დამხობის შემდეგ, მტერი ადვილათ მოადგებოდა ტრაპიზონის იმპერიას და აქედან საქართველოსაც შემოესეოდა*).

ოსმალთა სურვილი ქართველებმა კარგად იცოდენ. იცოდენ მათი ბარბაროსობა და ისიც, რომ იგინი თავისით დამორჩილებულებს მერე უსათუოდ ისლამთან დაკავშირებასა და გათათრებასაც დაუწყებდენ.

სწორედ ეს იყო უფრო იმის მთავარი მიზეზი, რომ ქართველები ასე მწარედ გლოვობდენ ბიზანტიის დაცემასა და განადგურებას.

ქართველები იმასაც აღიარებდენ მაშინ, რომ ბიზანტიის დამხობა მთელის საქრისტიანო ერის სწავლა-განათლების დაცემა და მოსპობა არისო. ამის გამო ქართველებმა სასტიკათ შეიძულეს ოსმალთა ბარბაროსობა.

ბიზანტიის დამხობა ქართველებისათვის ბევრ ნაირის მხრით იყო საყურადღებო, ნამეტურ მითაც, რომ ქართველთა და ბიზანტიელთა სულიერი ნათესაობა და მეზობლური განწყობილება ძველ დროიდანვე განმტკიცებულა, რასაც ერთობ მდიდარი, დიდი საერთო ბიზანტიურ-ქართული ისტორია აქვს.

ქართველთა და ბიზანტიელთა სულიერი თუ პოლიტიკური კავშირი იქამდის დაახლოებული იყო და ორივე ერისთვის იმდენად ცნობილი, რომ თვით ბიზანტიის ოსმალთაგან დამხობის დროსაც კი ქართველ და ბიზანტიელ მეფეთა შორის ახლო კავშირის ძაფი არ გაწყვეტილა. ამის შესახებ ცნობა ისტორიკოს გიბონსა და საქართველოს მეისტორიებსაც აქვსთ მოხსენებული. აქ მოვიყვანთ გიბონის ცნობას ქართველთა და ბიზანტიელთა ურთიერთობაზედ.

---

*) ეს ცნობები ამოღებულია ჯერეთ დაბეჭდავის ისტორიულის მასალებიდამ, სახელდობრ ქართველ კათოლიკეთ მდგდლების „მისიონარულის დღიურიდამ“. 1882 წ.

გიბონი აი რა სწერს: ბიზანტიის იმპერიის დამხობა თვით ბიზანტიელთა ბრალიაო, თვით ესენი არიან დამნაშავენი ამ დიდს უბედურებაში, იმ დროს, როცა ბიზანტიელთ ასეთი მომავალი ელოდათ, საქართველოში მეფობდა მეფე გიორგი ბრწყვინვალე, რომლის კარგი მეგობარიც იყო ბიზანტიის იმპერატორი. ამავე უბედურობის დროს, ბიზანტიის უძლური და უბედური იმპერატორის გონება ისე იყო დაჩლუნგებული, რომ მისი მოწინავე კაცები მთელს დუნაიზე დაიარებოდენ და იმპერატორისთვის საცოლოს ეძებდენ. ბოლოს ამ მოწინავე სახელმწიფო კაცებმა ქართველთა მეფის გიორგი ბრწყინვალეს კარამდეც მიაღწიეს და მას აუწყეს თავისი განზრახვა და სთხოვეს, რომ ქართველთა მეფეს თავისი ქალი ბიზინტიის იმპერატორისათვის მეუღლეთ მიეცა. მეფე თანახმა იყო ამის და საქმეც გაიწალდა. მოწინავე კაცნი საქართველოდამ დაბრუნდნენ ბიზანტიაში და იმპერატორს ამბავი წაუღეს, მაგრამ ვიდრე ესენი ბიზანტიაში მივიდოდნენ, ბიზანტიის იმპერია ოსმალებს უკვე დაემხოთ

ამ გარემოებამ ჩაშალა ქართველთა და ბიზანტიელთა დანათესავების კავშირი.

იგივე სწერს: „ბიზანტიის იმპერატორი თითქმის უგონო, უძლური და უსწავლელი კაცი იყო. იყო, ასეთი, როგორც, საზოგადოთ, ყველა ხელმწიფე არისო.

იმავე გიბონის სიტყვით, იმპერატორზე მეტად დიდი გავლენა ჰქონდათ ბერძნის ბერებს და ეპისკოპოსებს. ესენი არწმუნებდენ იმპერატორს, რომ ოსმალნი ვერა ღონისძიებით კონსტანტინეპოლს ვერ აიღებენ, სოფიას საყდარს ვერ მიუახლოვდებიანო. ოსმალნი რომ შემოვლენ სტამბოლში, მაშინვე ციდამ ანგელოზები ჩამოვლენ და ყველა მათ უკანვე გარეკავენო. იმპერატორი ისე დაარწმუნეს ბერებმა, რომ იგი მხოლოდ ღვთისგან ელოდა შველასა და ქვეყნის ხსნას. მტერი კი უშიშრად შევიდა კონსტანტინეპოლში, აიღო იგი და სოფიოს საყდარიც დაიკავა. ამგვარად დაემხო ძველი ბიზანტია, განათლების კერა და ცივლიზაციის საძირკველი.

ბიზანტიის დამხობამ ქართველები დიდათ დააღონა, ქართველებმა კარგათ იცოდნენ, რომ ოსმალნი ახლა ყველაფერს გაანადგურებდენ. განსაკუთრებით ის იყო ქართველების საწუხარი და სადარდელი, რომ ქართველებს სჯულის გაცვლის უმალვე გადაგვარებასაც დაუწყობდენ ხოლმე. ქართველებს ისიც ადარდებდა და აწუხებდა, რომ ბიზანტიის დაცემის შემდეგ მტერი მის სწავლა-განათლებასაც მოსპობდა.

ამის დარდით ქართველთა დრტვინვა ისე ძლიერი იყო და ისინი ისეთი ნაციონალისტები გახლდენ, რომ ქრისტიანობასაც-კი ადვილათ დასთმობდენ და ისლამს მაღე შეურიგდებოდენ, ოღონდ საქართველოს ხსენება არ გამქრალიყო, ქართველი ხელოვნება, ქართული ჩუქურთმა, ქართული მხატვრობა, ქართული ენა და წიგნი შენახულიყო, საქართველოს ტერიტორიას არაფერი ჩამოგლეჯოდა. ასეთი მცნება ქრისტიანობასა და ისლამზე, ქართველთა შორის, დავით აღმაშენებლის დროიდან დამკვიდრდა, რომელი მეფეც თითქმის ამ აზროვნების წარმომადგენლათ ითვლება. ვინაიდგან იგი ისლამსაც ისე სცემდა პატივს, როგორც ქრისტიანობას, თვით ეს მეფეც კი დაიარებოდა სალოცავად როგორც ქრისტიანების საყდარში ისევე მუსულმანთა სალოცავებში და ებრაელთა თორაშიაც, სომხის საყდარშიაც კი ხშირად იყო და კათოლიკებსაც დიდათ სცემდა პატივს. ასეთი ინდიფერენტიული შეხედულება ქართველებში დავით აღმაშენებლის შემდეგ მტკიცეთ და მკვიდრათ დაინერგა. ასეთი შეხედულება ქართველების იყო სწორე და რთული, ამას იწვევდა მათში ის პირობები, რომ მათ დიდათ სძულდათ გადაგვარება-გადაკეთება, გადასხვაფერება და სხვ., რაც მაშინ დამონებულ ერთ ყოველთვის კარს ადგა.

ეს გარემოება იყო ქართველების დარდი. ამისთვის ეკრძალებოდენ ყველაფერს იგინი. მათი ამ ქვეყნიური დევიზი იყო მათი მშობელი ტერიტორიის შენარჩუნება, ქართველი ტომის არ მოსპობა. ქართველი ერის ასეთი სულიერი სიმაღლის ძალას თვით ქართველი სიგელ-გუჯრემბიც გვაუწყებენ. თვით სოფლის ბოგანოც კი არაფერ შემთხვევაში არ დაეთხოვებოდა ერთ მტკაველ მიწას და არავის დაუთმობდა, რაც უნდა ბევრი ფული მიეცათ მისთვის. ასეთის თვისებისა იყო, როგორც ბოგანო გლეხი, ისევე შეძლებული გლეხი, აზნაური, თავადი, თვით სულიერი მამა, საყდრის პატრონი, მღვდლები და ბერებიც. ამას ცხადათ ასაბუთებენ საეკლესიო სიგელ-გუჯრები, რომლის რიცხვიც ბევრია დაბეჭდილი ქართულ მწერლობაში.

ასე აფასებდენ ძველად ქართველნი საქართველოს ტერიტორიას, ქართულ ენას, მწიგნობრობას და ქართველ სულიერ ძალას, ამიტომაც იყო, რომ ძველად ქართველნი ქვეყნის ოთხსავ კუთხით აწყდებოდენ აქეთ-იქით და ეძებდენ ყოველნაირ შველას და შვებას, რომ ეგები

როგორმე მტრის გავლენისაგან მტკიცედ დაეცვათ ქვეყანა, დედა ენა, ქართული წერა-კითხვა და თავისი ვინაობა.

ასეთი მტკიცე მამულისშვილები იყვნენ მაშინდელი ქართველები. აქ ამით ძველი რეტროგრადობა არავინ დაგვწამოს. ქართველებში უკულმართი ხულიგანები არც ძველად იყვნენ და არც დღეს არიან; ქართველები იყვნენ თავის მიწა-მამულის მოყვარულნი, ცხარე ნაციონალისტები, მაგრამ ესენი სხვებს კი არ ეცილებოდენ და არ ართმევდენ მამულს, არამედ ამ ცხარე ნაციონალისტობით თავიანთ ავ-კარგიანობის ხელშეუხებლობას ითხოვდენ. ამიტომ იყო, რომ ქართველები ოსმალ-სპარსებს და მთლად მთელ მუსულმანობას საქართველოს ერთ მტკაველ მიწასაც არ უთმობენ ადვილათ. ამ გვარად მუსულმანებს ქართველებთან მუდმივი ბრძოლები მობეზრდათ და მიტომ განიზრახეს ქართველთ დამხობა და მოსპობა.

ამის განსახორციელებლად საჭირო გეგმაც შეიმუშავეს და მალე საქმესაც შეუდგენ.

ჩვენ ისტორიით ვიცით ის გარემოება, რომ ქართველები ძველადგანვე დიდი ნაციონალისტები იყვნენ, ყოველი ქართველი გამსჭვალული იყო საქართველოს სიყვარულით; საქართველოს ტერიტორია ქართველი კაცისთვის ძვირფასი იყო, უამისოდ სიცოცხლე მისთვის არაფრად ღირდა, ამიტომ ქართველი სთმობდა ყოველთვის ყველაფერს, სჯულითაც კი გარდა ტერიტორიისა. ტერიტორიის შესანარჩუნებლად ქართველები მუდამ სასტიკ ომს აწარმოებდენ სპარს-ოსმალებთან, იმ ძლიერ მტრებთან, რომელთაც აღმოსავლეთ სლავიანთა ყველა პატარა სამეფოები დაიპყრეს და მოსპეს მათი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა.

აი, ასეთი ძლიერმა სამეფოებმა ვერ დაიმორჩილეს პატარა საქართველო, ვერ მოსპეს ისე, როგორც მათ სურდათ. რაკი ბარბაროსმა მტერმა ვერ მოსპო ეს ტურფა ქვეყანა თავის ძალით, სამოქმედო გეგმა შესცვალეს, რომელ გეგმის განსახორციელებლად მათ საქართველოს თავადსა და მთავრებს შორის იპოვნეს თვისი თანამოაზრენი და ერთგულნი, რომელნიც ორგულობას უწევდენ იმერეთისა და ქართლის მეფეებს. ამ გარემოებამ საქართველოს შინაური საქმეები ერთობ არია, ამ ორგულობისათვის ქართველი თავადები საქართველოს მტრებისაგან დახმარებას და საჩუქარს ღებულობდენ. გაორგულებული თავადი აკეთებდა ციხეს ერთს რომელიმე ხეობაში და თვით ცხადდებოდა ხსენებული კუთხის მეფეთ, მფლობელათ და თავადათ.

რაკი საქართველოს ერთ სამეფოს, შიგ თავის მიწა-მამულზე აუარებელი მტერი გაუჩნდა, ამიტომ გარეშე მტრებმა ფრთები შეისხეს და ხშირად დაიწყეს საქართველოზე დაცემა, ანუ თავდასხმითი ბრძოლის წარმოება. ესენი ყოველთვის სძლევდენ ხოლმე ქართველებს, რადგანაც შინაურები ღალატობდენ. მეფე კიდევ ვერას აწყობდა ოთხსავ-კუთხივ შემოსეულ მტრებთან, ამიტომაც მან ისურვა თავის თავის დასაღუპად, თუ ქვეყნის საშველათ, ერთ საქართველოს სამეფოს სამ სამეფოთ და ხუთ სამთავროთ გაყოფა.

ორიოდე ცნობა, სულ მოკლეთ, 1896 წელს, ერთს წიგნში დავბეჭდე, აქ კი დავსძენთ, რომ კათოლიკის მისიონერები მზე-ჭაბუკის საქციელს კრიტიკის თვალით უმზერენ, წუნს სდებენ მას, თუმცა არ აძაგებენ კი, ყველგან მას ახსენებენ. როგორ გონიერ კაცს, სიმართლის მოყვარე მთავარს და ღვთის მოყვარეს.

„ქართლის ცხოვრების“ თქმით, მზე-ჭაბუკმა კაი კაცობის საშუალებით სახელიც მოიგო, ხალხმა მას „მზე-ჭაბუკ დიდი“ უწოდა. ქართველ ერს გარდა, ამას ოსმალ-სპარსნიც კარგად იცნობდნენ და პატივს სცემდენ, როგორც ჭკვიანსა, სპარსულ-ოსმალურ ენებისა და წერა-კითხვის მცოდნეს.

სტამბოლში ცხოვრების დროს, ოსმალთა მუქარებით და დავალებით ისლამიც იწამა, მხოლოდ იმ დროს, როცა ოსმალოს მთავრობამ მას პირობა მისცა, რომ თუ შენ ისლამს იწამებ, მის შემდეგ შენს ქვეყანას უბედურება თავიდამ ასცდებაო.

სტამბოლში ცხოვრების დროს მზე-ჭაბუკი მარტო ისლამის მიღებით არ დაკმაყოფილდა, იგი კარგათ გაეცნო სტამბოლში მყოფ კათოლიკისა და ლიუტერის სჯულის მისიონერებს, დაუახლოვდა მათ და ბოლოს, საქმე ისე მოაწყო, რომ ლიუტერის სარწმუნოებაც კი მიიღო. ეს იყო პირველი მაგალითი ქართველის კაცისაგან, ლიუტერის სჯულის მიღებისა.

სტამბოლში ყოფნის დროს, ლიუტერის სჯულის მისიონერებთან თითქმის ყოველ დღე დადიოდა, ოსმალურის ენით მათ საუბარს უმართავდა და მასთან, ევროპიული პასტორ მისიონერები ქართულ ენასაც სწავლობდენ, მოკლე დროის განმავლობაში, მისიონერ პასტორებმა თურმე ქართულ ენას გარდა თვით ქართული წერა-კითხვაც შეისწავლეს.

საქმე ისე მოეწყო, რომ საქართველოში წამოსვლის, დროს ლიუტერის სჯულის მისიონერ პასტორებიც თან წამოიყვანა, რომელთ

მხოლოდ ერთის სახელი ვიცით, დანარჩენ მისიონერთ ისტორია არ ასახელებს. მზე-ჭაბუკმა სტამბოლში ლიუტერის სჯული აღიარა საიდუმლოთ, საქართველოში ყოფნის დროს კი აშკარათ მუსულმანობას აღიარებდა და საიდუმლოთ კი ლიუტერის სწავლას.

მისიონერებს ათაბეგმა საცხოვრებელ ბინად ახალციხე დაუნიშნა, რადგანაც თვით იქ სცხოვრობდა და მასთან ულუფაც მისცა, ამას გარდა დიდს თანაგრძნობას უწევდა, რომ მათ ქართველებში ლიუტერის სწავლა გაევრცელებინათ, ამ დროს, ახალციხეში, ლიუტერის სჯულს დაუკავშირდა ათაბეგის მთელი ოჯახი და ამათის მიბაძვით სხვა ბევრმაც მიიღო ის სჯული.

მზე-ჭაბუკ დიდი მიტომ უფრო არის დასაფასებელი, რომ მას როცა ლიუტერის სწავლა გაუცვნია, მასში ქართველობის სამტროო არაფერი ძალა არ დაუნახავს, მას იგი უცვნია სახარების მშვიდობიან სწავლათ და სწორეთ იმიტომაც დაკავშირებია ამ სწავლას. ისიც კი უნდა მოვიხსენოთ, რომ ათაბეგი ლიუტერის სწავლას გარეშე, კათოლიკის სარწმუნოებასაც დიდის პატივით ეპყრობოდა და ამ სჯულის მისიონერებსაც დიდ დახმარებას უწევდა.

ათაბეგი კათოლიკებსაც მიტომ სცემდა პატივს, რომ მასში ქართველ გვარის სამტროს არაფერს ხედავდა, მით უმეტეს, რომ სომეხ-კათოლიკენი ჯერედ ქართველებზედ არ იყვნენ ისე გაბატონებულნი როგორც ის შემდეგ მოხდა (XVII საუკ.) როცა მხითარისტების ძმობა დაარსდა ვენეციას.

მისიონერთა სიტყვით, ათაბეგი თუმცა ლიუტერის სწავლას დაუკავშირდა და კათოლიკის მისიონერებისაგან შორს გადგა, მაგრამ მათ მაინც პატივს სცემდა და დახმარებასაც აძლევდა თურმე და კათოლიკის სჯულის ვრცელებაშიც არ ეწინააღმდეგებოდა, პატრებს ყველა ნაირ დახმარებას უწევდა. ლათინის პატრებიც მართალია მაშინ უმეტესათ ლათინურ ენას ხმარობდენ ეკლესიებში, მრევლთან საუბრის დროს კი ქართული ენა ჰქონდათ მიღებული, ეს გარემოება და ლათინური ენის ხმარება ათაბეგს სულ არ აშინებდა.

ლიუტერის სჯულის პასტორებმა ახალციხეში თავიანთ სჯულის მრევლი ქართველებში მალე იპოვნეს, ამათ გაჩენას მალე სამლოცველო სახლის აშენებაც მოჰყვა. ახალციხეში ააშენეს ამ სჯულის სწავლის სამლოცველო, სადაც ლიუტერის სჯულის მისიონერ პასტორები სახარებას და ამის სწავლას ქართულად ასრულებდენ. ესეც პირველი მაგალითი იყო არა მარტო ახალციხეში, არამედ მთელ საქართველოში.

ახალციხეში მარტივათ შეიგნეს ეს სწავლა და ბევრისთვის თურმე მოსაწონიც იყო.

გარემოებამ ხელი არ შეუწყო, თორემ ლიუტერის სწავლა ქართველებში მალე მოიკიდებდა ფეხს და ადვილათაც გავრცელდებოდა მთელ საქართველოში. ვერ მოხდა ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ლიუტერის სჯულის მისიონერები საქართველოს და მის ერს ვერ იცნობდენ კარგათ და მასთან ქართული ენაც არ ჰქონდათ კარგათ შესწავლილი.

სამწუხაროთ, ამ სარწმუნოების საქმენი საქართველოში ისე მოეწყო, ისე შეიზღუდა მისი არსებობის პირობები, რომ ჩვენ მისი ისტორიული ცნობებიც კი არ მოგვეპოება.

ამ დღიდან დაიწყო საქართველოს დაუძლურება, დაქსაქსვა და მოსპობა. საქმე ისე აირივ-დარია, რომ ქართველის ტომისთვის დადგა დიდი განკითხვის დღე, გარეშე მტერმა იპოვნა გზა და კვალი ქართველი ტომის მოსპობის დაწყებისა და საქართველოს დაღუპვისა.

საქართველო და ქართველი ერი სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა. მას მოელოდა ის, რაც მოევლინა ბიზანტიას; რა შავი დღეებიც გაიარა განათლების ამ ძველმა ქვეყანამ, იგივე ნახა საქართველომ, ერთიცა და მეორეც დაემხო ბარბაროსების ხელში.

დარბეულ ქვეყნის შვილებმა ბევრ ნაირად იწყეს შრომა და ცდა საქართველოს საშველად, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს, ნელ-ნელა ქართველთა საქმე სულ უკუღმა მიდიოდა. ამავე დროს, ქართველებს დაუწყეს სჯულის მხრივ დევნა, ვინაიდან მათის აზრით, ვიდრე ქართველები სჯულს არ გამოიცვლიდენ, მინამ სპარს-ოსმალთა ერთგულები არ იქნებოდენ.

შეუდგნენ ქართველების გათათრებას. ამ გათათრებას აქვს მეტად დიდი ისტორია, ვინაიდგან თითო ხეობის ქართველთ განუსაზღვრელი ტანჯვა-ვაება გაუვლიათ სჯულის გულისთვის.

ქვეყნიდან აყრას, გადასახლებას, დაპნევასა და ვინაობის დავიწყებას. ისევ სჯულის გამოცვლა არჩიეს და დაიწყეს ისლამთან დაკავშირება. იგინი ამბობდენ: სჯული სჯულია, ჩვენ და ჩვენს ენასა და ქვეყანას თუ არაფერი ევნებათ—მივიღოთ ისლამი და მით ქვეყანაც მოვასვენოთო.

ისლამს დაუკავშირდა ცამეტი საეპისკოპოსოს ქართველობა. მოკლე დროის შემდეგ მტრებმა ქართველებს ისლამში ყოფნის დროს, დაუწყეს ენით გათათრება და გადაგვარება. ოსმალეთის სასულიერო წოდებამ შესძლო და მოახერხა ის, რის იმედიც ქართველებს სულ არა ჰქონდათ. დაივიწყეს ქართული ენა, ქართული წერა-კითხვა, სა-

ქართველოს ხსოვნა, და ამათ მაგიერ მათ შეითვისეს თათრული ენა, ქართული სახელები გამოუცვალეს სოფლებს, მთებს და სხვა ასეთს ადგილებს.

დღეს ქართველ მაჰმადიანთა შორის, რვა ნაწილს აქვს თავის დედაენა დავიწყებული. ამ რვა ნაწილში რვა საეპისკოპოსო კათედრა არსებობს, ამათ რიცხვშია მოთავსებული არდაგანის ოლქი, ქართულად არტაანი, ძველად ამ კუთხეს ზემო ქართლი ეწოდებოდა.

ისლამს დაუკავშირდა ორი მილიონი ქართველობა. ნახევარი მილიონი ლაზისტანში იყო და მილიონ ნახევარი კი ზემო ქართლში ანუ სამცხე-საათაბაგოში. მარტოდ ნახევარ მილიონი ქართველი მესხეთს-ჯავახეთში ცხოვრობდა, 300 ათასი არტაანის ოლქში (არდაგანში), ასევე სხვა კუთხეებში. ამდენა ქართველობას ისლამი გვარის შემჭმელათ მოევლინა.

ეს გარემოება კი ქართველებს დიდად აღონებდა. ამიტომ ქართველებმა ისლამს გული აჰყარეს, მეტი გზა აღარ იყო, ქართველებმა დაიწყეს ფხიზლად ყურება და მოქმედება. ამ დროს მათ კარგად გაიცნეს კათოლიკის სარწმუნოება. ამ სარწმუნოებაში მათ დაინახეს დიდი სიკეთე, ძალა, და დაიწყეს ქართველებმა კათოლიკის სჯულზე გადასვლა, ამ სჯულს დაუკავშირდა 300 ათასზე მეტი ქართველი, პირველ ხანებში კათოლიკობა ქართული ნაციის მფარველად გამოვიდა, მაგრამ ბოლოს კი, როცა სომხის მხითარისტების ძალა აღორძინდა, კათოლიკობამაც ასევე დაუწყო ქართველობას შეჭმა როგორც ისლამმა.

აი როგორ და რა გვარად მოხდა ეს ჩვენთვის სამწუხარო ამბავიც.

ქართველ კათოლიკების გასომხება.

რაკი საქართველოს ერთობა დაეცა და ქართველი ერიც წაიქცა, მის შემდეგ მთელ ქართველობის არსებობის საქმეც სავალალოდ შეიქნა.

ნათქვამია: ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ზედ მიადგებაო.

ასე მოგვევლინა ჩვენც! რაკი მუსულმანებმა დაგვჯაბნეს და დაგვიწყეს გადაგვარება, არც სხვებმა დაგვაყარეს სიკეთე და თვით ქრისტიან სომხებმაც დაგვიწყეს გადაკეთება და გადაგვარება, პირველად სომხებმა ქართველებს კი არ დაუწყეს გადაგვარება, ეს მათ ვერ გაბედეს, მათ დაუწყეს გადაგვარება ქართველ კათოლიკებს, ამა-

თი მოქმედების პირველი ნაბიჯი ქართველ კათოლიკეთა გადაგვარებით იწყება, XVII საუკუნიდამ იგინი ქართველ მართლმადიდებლობასაც მრავალად ასომხებდენ.

აქ მოკლედ მოვიყვანთ ქართველ-კათოლიკეთა გასომხების ისტორიასაც. ქართველ კათოლიკებს, რომის სასულიერო მთავრობა, სიშორის გამო ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა, ამიტომ მათ ქართველ-კათოლიკეთა მართვა-გამგეობის საქმე მხითარისტების სომეხ-კათოლიკეთა ბერებს მიანდვეს. ეს მათთვის იყო აღდგომა, და დიდი ეროვნული სიმდიდრის შოვნა, მხითარისტების ძმობა ჯერ არც კი იყო დაარსებული, რომ სომხის გვარის მოყვარე კათოლიკენი ქართველებზეც გულ-მოსულნი იყვნენ,—ისინი საქართველოს სომხეთად სთვლიდნენ და ქართველებზე ჯავრიც მოსდიოდათ, რომ ამ წყეულებმა შეინახეს თავის სამეფო და სომხეთი კი ადრე დაემხოვო სომხეთის დაცემას ქართველებს აწერდენ, ამიტომაც ამ „აზგასერებმა“ ქართველობა და საქართველო ძირიან-ფესვიანად უარი ჰყვეს. 1600 წელს ევროპაში რამდენჯერმე სომხეთის ქარტა დაბეჭდეს და იქ საქართველო სომხეთად მოიხსენეს და ასე აღნიშნეს, რომ იგი სომხეთიაო. ამათმა გველობამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

1620 წლებში, როცა რომის ტახტმა გადასწყვიტა ქართული სტამბის გახსნა რომში, პირველად ილერიის კათოლიკეებს ჰკითხეს საქართველოს ამბები, მერე რა ჰქნეს ამ გმირებმა? რომის კონგრეგაციას ასეთი ყალბი ცნობები მისცეს: „ჩვენ საქართველოს არ ვიცნობთ, იქ სადაც თქვენ საქართველოს ფიქრობთ, იგი სომხეთია და ხალხიც სომხის გვარის არის, საქართველოს ცოტაოდენი ადგილი მარტო მთებში აქვსო“. ასეთმა მტრებმა კინაღამ სტამბის გახსნის საქმე შეაფერხა, მაგრამ ეს ვერ მოხდა, რადგანაც ლათინის პატრები თავდადებით იცავდენ საქართველოს. აი ასეთ მგლებს ჩაუვარდათ ხელში საქართველოს კათოლიკეები, კათოლიკეებთან მთელი ქართველობაც, რაკი ამათ მიაღწიეს თავიანთ წადილს და ბოლოს რომის ტახტმა მთელი საქართველოს სამისიონერო საქმის მართვა-გამგეობაც მათ ჩაუგდო ხელში. მას შემდეგ მათი ცდა იყო საქართველოს სომხეთად ქცევა და ქართველების გასომხება ენით და ვინაობით. ამისთვის დაიწყეს მათ შრომა 1630 წლებიდან. აი რა ქმნეს:

ლაზისტანსა და ჭანეთში სომხის კათოლიკობას დაუკავშირეს 200 ათასი ლაზი, მერე ამ ლაზების დიდი ნაწილი გადაასახლეს არზრუმისაკენ, ბაიაზეთის, ან და ასეთ კუთხის სომეხ კათოლიკეთა შორის. იქ კათოლიკე ლაზებმა დაჰკარგეს ლაზური ენა და სომ-

ხურად იწყეს ლაპარაკი, დღეს იგინი ნამდვილ სომხის შთამომავლად სთვლიან თავს, თუმცა შთამომავლობით ისინი ქართველები არიან.

ასე გასომხებულ ქართველ კათოლიკეთა ერთობ დიდი რიცხვი მოიპოვება თვით საქართველოში მცხოვრებ სომეხ კათოლიკეთ წოდებულ მეფურნეებშიაც კი. ვინც მეფურნეების ტიპს დააკვირდება და გაიცნობს მათ ხასიათს, იგი მათში სომხის ერისადმი ნათესავობას სულ ვერ დაინახავს. თვით თბილისის და სხვა ქალაქის მეფურნეებსაც რომ დავაკვირდეთ, თქვენ ცხადათ დარწმუნდებით იმაზედ, რომ ეს კათოლიკე მეფურნეები ტიპით სულ არა ჰგვანან სომხებს, არამედ უფრო ქართველებს.

გარდა ასეთის მსგავსებისა, ლაზების ქართველთ შთამომავლობას ისიც ცხადად აჩენს, რომ თვით ასეთ გასომხებულ ქართველ ლაზ კათოლიკეებს გვარებიც შერჩენიათ, ზოგიერთებს ლაზებს გარდა, რომ გაფრანგებულნი და მერე გასომხებულნი თვით აჭარლებიც ბევრნი უნდა იყვნენ, ამას ამტკიცებს ისიც, რომ ასეთ გასომხებულ ქართველებში გვარად „აჭარიანცებიც“ არიან. ასევე გასომხებულ ქართველებით სავსეა არტაანის ოლქი (არდაგნის) და სხვა კუთხეები.

ასე და ამ გვარად, ქართველი ტომის ერი შეჭამა ისლამმა და ამით ქართველთ მოაკლო 2 მილიონი ხალხი, ასევე ქმნა კათოლიკობამ და ამ გზითაც, ქართველობას სომეხ მხითარისტებთა ცდით მოაკლდათ 400 ათასზედ მეტი ქართველობა და ესენი დედა-ბუდიანათ გასომხებულ იქმნენ. ქართველებს ვნება მოუტანა, როგორც ისლამმა, ისევე სომეხ კათოლიკეთა კაციჭამიაობაც.

ქართველები გრიგორიანის სჯულით.

ქართველები სომხის ერს და მათს სჯულს ძველთაგანვე იცნობდენ და ერთ ხანს ქართველთა და სომეხთა შორის სიყვარულიც არსებობდა. სომხები ქართველებს სრულებით არ სდევნიდა და არც უშლიდენ რამეს. ამიტომაც ქართველებს სომხის სჯული თავის მფარველადაც კი მიაჩნდათ.

სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ქართველებმა მრავლად იწყეს გრიგორიანობაზე გადასვლა. ქართველთა დიდი რიცხვი გრიგორიონობას შეუერთდა და ამის მერე ეს ქართველები გადასახლდენ განჯის გუბერნიისაკენ, ერთი ნაწილი გადასახლდა ერევნისაკენ, ერთი ნაწილი არზრუმ-ვანისაკენ, ერთი ნაწილი კონსტანტინეპოლს და ზოგიც სხვადასხვა ისეთ კუთხეებში, სადაც სომხები მრავლად სცხოვ-

რობდენ. ასეთ გასომხებულ ქართველთა რიცხვი XVII საუკუნის ბოლოს 400 ათასზედ მეტი იყო, ეს ნამდვილი და სწორი ცნობა არის. ამას უარს ვერავინ ჰყოფს. ისიც უნდა ითქვას, რომ გასომხებულ ქართველების რიცხვი საქართველოშიაც ერთობ ბევრი დარჩა.

ქართველები აქაც შესცდენ, გრიგორიანობაში აქაც მარცხათ წაუვიდათ საქმე. მათს გვარს და ნაციას როგორც ისლამი მტრობდა და სჭამდა, ისევე დაუწყო შეჭმა კათოლიკობამ და მასთან გრიგორიანობაც ხომ ისეთ იარაღად აღმოჩნდა, რომლის საშუალებითაც ქართველ გრიგორიანებსაც დაუწყეს გადაგვარება და რაც ისლამმა და კათოლიკობამ დააკლო ქართველებს, ის გრიგორიანობამ შეუსრულა.

ამ გარემოებას ყველა ქართველი კარგად გრძნობდა, კარგად ხედავდა, როგორც დიდი, ისე პატარა, როგორც თავადი, ისე აზნაური და გლეხი.

ქართველმა ერმა ყველა სჯულსა და სარწმუნოებას გული აჰყარა. იგი ისლამსაც ემდურებოდა და ქრისტიანობასაც, ვინაიდან ქართველი კაცის სულს ერთიც სჭამდა და მეორეც. ეს იყო მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს, ანუ 1510 წლებში. ამ დროს ევროპაში ლიუტერის მოძღვრებამ უკვე ფეხი მოიკიდა და ეს მოძღვრება ნელ-ნელა ჩვენშიც გავრცელდა. იმ ხანებში სამცხე-საათაბაგოს განაგებდა ათაბაგი მზე-ჭაბუკი, რომელსაც შემდეგ „მზე-ჭაბუკ დიდი“ ეწოდა.

ქართველები დიუტერის სწავლის მიღების სამზადისში.

ათაბაგს ოსმალნი დიდად მტრობდენ, მათ სურდათ საათაბაგოს დაპყრობაც და საქართველოს მოსპობაც. მზე-ჭაბუკი გონიერი მართველი იყო, ოსმალებთან დიდის ოსტატობით ეჭირა თავი, ამიტომ მას ხშირად უხდებოდა სტამბოლში სიარული, ოსმალოს მთავრობასთან მოლაპარაკება, საქმის მოწესრიგება და ქვეყნის უვნებლად გადარჩენა.

საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველებმა სჯულზე ფიქრს თავი გაანებეს, ქრისტიანების ყურება მათ აღარად მიიჩნიეს, ვინაიდგან მათ ბიზანტია თვალ-წინ ედგათ, სადაც ქრისტიანობა და მის მიმდევართა თაყვანება და მის მიმდევრობა დიდათ იყო გაზვიადებულ-აღორძინებული, მაგრამ რა მოხდა? ამით რა სიკეთე მიეცათ ბიზანტიელებს? თითქმის არაფერი! ბარბაროსმა ოსმალეთმა ერთის დაკვრით მოსპო მთელი მათი ცივილიზაცია!

ამიტომაც ქართველების საფიქრელი ისღა იყო, რომ საქართველო არ მოსპობილიყო, არ განადგურებულიყო ქართველობა თავის კულტურით და ნაციონალურის წესებით.

ამიტომაც მზე-ჭაბუკი სტამბოლში ყოფნის დროს, ფხიზლად იქცეოდა და მარჯვნივ და მარცხნივ აწუხებდა იქვე მცხოვრებ ევროპიელთ და საქართველოს სამფარველოდ ეძებდა შველას, რაიმე წამლის გამოძებნას.

იმ დროს კონსტანტინეპოლში თურმე მრავლად იყნენ ლიუტერის მიმდევარი პასტორები, რომელნიც ლიუტერის სწავლას ავრცელებდენ სლავიანთა და თავიანთ თანამემამულეთა შორის. შემთხვევით, ასეთი პასტორები გაიცნო სამცხის ათაბაგმა მზე ჭაბუკმა, ამათ გაცნობის ისტორიულ მასალებს ჩვენ ისევ და ისევ სამცხის ქართველ-კათოლიკეთ მისიონერები გვაძლევენ, სხვაგან ჩვენ ვერასა ვპოვებთ, ამისათვის ისევ ამ მისიონერების დღიურები უნდა გადავშალოთ.

1881 წ. მესხეთსა და ჯავახეთში მგზავრობის დროს, ვიშოვნე ლათინის წესის ქართველ კათოლიკეთა მისიონერ-პატრის ერთი დღიური, რომელიც ამ საგნის შესახებ იძლეოდა საინტერესო ცნობებს. ეს ძვირფასი დღიური მე ვნახე სოფ. ხიზაბავრას, მღვ. ივ. გვარამაძე—ვინმე მესხთან.

საქმე ისე მოეწყო, რომ 1515 წ. ახალციხეში, უკვე საკმარისი რიცხვი იყო ლიუტერის სწავლის მიმდევართა. ეს გარემოება ოსმალებმა თავის დროზე ვერ შეამჩნიეს.

შემდეგ მათ ცნობები შეკრიბეს და ათაბაგს საყვედური უთხრეს, რომ თქვენ რათ აძლევთ ამის ნებასაო, ათაბაგმა ბრალი აიხადა და აუწყა: რომ მე მუსულმანი ვარ და ამიტომ არ მაქვს წადილი, რომ ხალხის სჯულის გაცვლის საქმეში გავერიოვო.

ათაბაგმა ირჩია საქმის დაშოშმანება, ამიტომ იგი სტამბოლში წავიდა, ნახა ხონთქარი და თავი წმინდა მუსულმანათ აღიარა, მასთან აუწყა ისიც, რომ მე ქართველების სჯულის გამოცვლის საქმეში არ ვერევიო. ოსმალეთის მთავრობა ამან მალე დაამშვიდა. აუწყა, რომ თქვენ ქართველების გადაბრუნების შიში ნუ გაქვთო. „მის დღ." გვაუწყებს, რომ სტამბოლში ყოფნის დროს, ათაბაგი გადუდგა ლიუტერის სწავლას, იგი ისევ ისლამს დაუკავშირდა და აშკარათ დაიწყო ჯამეში სიარულიო, თუმცა იმასაც ამბობდა თურმე, რომ მე ლიუტერის სჯულს დაუბრუნდები ისევ და ამ სჯულში მოვკვდებიო.

ამის შემდეგ, ათაბაგს დიდხანს აღარ უცოცხლია. „საქართ. ცხოვრების" თქმით იგი გარდაიცვალა 1516 წ. ხოლო ამ დროს, მან თავი კათოლიკეთ განაცხადა და ლათინის წესის პატრისაგან ეზიარა

კიდეც. ცნობა არის, რომ ათაბეგი ერთხელ კათოლიკობას დაუკავშირდა, ორჯერ ლიუტერის სჯულს და ორჯერ ისლამს. ახალციხეში ათაბაგი ისე მოქმედებდა, რისა გამო, ლათინის, ანუ კათოლიკის მისიონერებს სულ არაფერი უსიამოვნება არა ჰქონიათ ლიუტერის სჯულის მისიონერებთან. ევროპიელთ შიში, მტრობა სულ არ არსებობდა.

„საქართ. ცხოვრება“ ასე ახასიათებს ამ გონიერ მთავარს:

„ესე მზე ჭაბუკ დაეზავა ოსმალთა მორჩილებისა ბირსა ზედა, ამით მოუხვნა გურიელს აჭარა და ჭანეთი და დაიპყრა თვით“.

შემდეგ ამისა, ოსმალეთის მთავრობამ ათაბაგს დაავალა იმერეთის ლალატი და დაპყრობაც. ეს გარემოება ათაბაგისათვის მძიმე იყო თურმე. ამ ბოროტებას აი როგორ სწერს „საქართ. ცხოვრება“ ამ ვაებით სავსე რისხვას:

„ამით დაეზავა ესე მზე ჭაბუკ ოსმალთა და ადუთქვა მორჩილება და მსახურება“.

ცხადია, რომ მზე ჭაბუკმაც ულალატა თავის ერს, იმერეთის მეფეს, ეს ლალატი მისთვის ადვილი არ იქნებოდა, მაგრამ რა გაეწყობა, ოსმალ-სპარსთა პოლიტიკამ ისინი ადვილათ შეაჩვია ყველა ამაებს, ყოველს შემთხვევაში ისიც კი უნდა ითქვას, რომ ერთ მხარეს თუ ათაბაგი ეურჩებოდა, მიტომ მეორე მხარეს მით ამაგრებდა და აშენებდა. იმერეთს გადაუდგა, ულალატა და მით აი რა მოახერხა და მოაწყო:

„მერმე კვალთ დაუშენა ციხანნი და ადაშენა სასთაბაგო და მართვიდა კეთილად, ეს მეზობლობდა დავით მეფე ქართველთა, ესამედ ამას დიდსა მზე ჭაბუკი ამისთვის უწოდენ, რამეთუ დდეთ, თვისთა არა ეთრინდა ვათამიცა უსამართლოთ სასთაბაგოთა შინა და სცხოვრებდა თვისთა მეზობელთათანა სიყვარულითა და მეგობრობითა. კვალთ უკუ მოიხვნა სათაბაგოს ყოველივე და დაშერა თვითვე კვალთ მძველთა ოსმალთა დაეწყო და ჭეო ქვეყანა მათგან უვნოთ“.

ასე ახასიათებს „საქართ. ცხ.“ მზე ჭაბუკ დიდს. ეს პირი ლალატობს იმერეთს, მაგრამ მით ამაგრებს სამცხეს, კარგად მეგობრობს ქართლის მეფეს და ბოლოს სამცხეს სრულიათ ათავისუფლებს ოსმალთაგან. მზე ჭაბუკმა თურმე იმეცადინა და კათოლიკობას და ლიუტერის სწავლას ამან დაუდო თურმე საფუძველი. იგი პატივით ეპყრობოდა ორივ ამ სარწმუნოებას. ამიტომაც მის დროიდანვე გაჩნდენ

სამცხეში ლიუტერის სწავლის მისიონერები, ესენი თურმე ადვილათ შემოდიოდენ საქართველოში და ქადაგობდენ, რადგანაც ათაბაგის კეთილი საქციელის ცნობებიც გაცნობილი ჰქონდათ. XVI საუკუნის გასვლამდის, საქართველოში შემოსულან შემდეგ მისიონერ პასტორები, რომელთაც უქადაგებიათ ლიუტერის სჯული.

ეს მოკლე ცნობები მოყვანილია „მისიონ. დღიურში". დღეს აღარც ეს დღიურები არის შენახული. დაიკარგა ყოველივე მღვ. ივ. გვარამაძის სიკვდილის შემდეგ.

ი ა კ ო ბ პ ა ს ტ ო რ ი მცოდნე ქართულის ენის, ამან გააცნო მზე ჭაბუკს ლიუტერის სწავლა სახარების შესახებ, ეს ყოფილა მღვთის მეტყველობის დოქტორი, ამან ქართული ენა ოსმალური ენის საშვალებით შეისწავლა თურმე და ეს ასწავლიდა თურმე სხვა პასტორებს ქართულ ენას.

ა ნ დ რ ი ა პ ა ს ტ ო რ ი ტომით გერმანელი, ქართული ენა ამან სტამბოლში შეისწავლა. მერე საქართველოში მოვიდა და ახალციხეში სცხოვრებდა, სადაც ავრცელებდა ლიუტერის სჯული.

ა ნ ტ ო ნ ი პ ა ს ტ ო რ ი, მცდონე ქართული ენის. ამან ზედმიწევნით შეისწავლა ქართული ენა, მერე იგი სხვა პასტორებს ამზადებდა.

გ ე ლ ა რ ხ ი პ ა ს ტ ო რ ი. ტომით გერმანელი, გავლენიანი პირი, ცნობილი არა მარტო სამცხეს, არამედ მთელს საქართველოში და სპარს-ოსმალეთშიაც

ს ე ლ ვ ე ც ე რ ი პ ა ს ტ ო რ ი, ეს იყო გონიერი მისიონერი და კარგი მქადაგებელიც, ამან თურმე გერმანულიდამ საქართველოს რუკაც შეადგინა, ამ მისიონერმა ბევრი შესძინა ლიუტერის სჯულის სწავლას.

მ ა რ ტ ე ნ პ ა ს ტ ო რ ი, ტიზინგენის უნივერსიტეტში პროფესორად ნამყოფი. ამას ქართველთა დიდებულებიც გადუყვანია ლიუტერის სწავლაზედ, ამ პირმა თურმე ჯაყელების გვარიდამ რამდენიმე პირი გადიყვანა ლიუტერის სწავლაზედ, დღეს ლიუტერის სჯულისა ქართველებში სულ არავინა სჩანს ჯაყელების გვარის წევრნი, კათოლიკები კი არიან. მერე ეს ლიუტერის სჯულის ჯაყელებიც კათოლიკობაზედ გადასულან.

შემდეგ დროს, რადგანაც სამცხეში ლიუტერის სჯულის პასტორები აღარ ყოფილან, ამიტომ უმღვდელოთ დარჩენილი ხალხი მთლად კათოლიკობაზედ გადასულან და კათოლიკობას შეერთებია. XVII საუკ. გასულს საქართველოში ლიუტერის სწავლის მაღიარებელთა ქართველთა რიცხვი სულ მოსპობილა.

947.922
ᲒᲐ 551

განცხადება.

განზრახვა მაქვს, რომ გერმანელთა ორიენტაციის გამო, გამოვსცე შემდეგი ისტორიული წიგნები:

ვლ. მატბერაშვილი.

1) გერმანელი დოქტორ იაკოფ რეინგესი საქართველოში XVIII საუკ.

2) აკადემიკი ჰულდენშტეტი და ტიურენდორფი საქართველოში.

3) გერმანელთა სწავლულნი და მოგზაურნი: ვიცენი, პოსონი, ბრენერი, ბარონ ბრეიტენბახი, მიოტურმა, როტიე, ეიხვალდი (მემადნე), იოსებ იაკოვლევიჩი(?) (პრუსიელი) და სხვანი.

4) გერმანელთა ჩამოსახლება და მათი კოლონიები საქართველოში.

ფასი 50 კაპ.